# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

14 მარტი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 46 (10459) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექსჩემპიონი კლასს აჩვენებს

ასე იწყება საკდესის კორესპონდენტის ცნობა იუგოსლავიის დედაქალაქიდან, რომელიც ეხება აქ მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში მსოფლიო ექსჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის გამოსვლას. ამ შეჯიბრებას საერთაშორისო კლასიფიკაციით საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს, ვინაიდან მასში მხოლოდ დიდოსტატები მონაწილეობენ. ყველაზე ბევრი მოჭადრაკე, ბუნებრივია, ტურნირის ორგანიზატორებმა გამოიყვანეს, სულ კი ასპარეზობაში 10 სპორტსმენი იბრძვის.

უკვე გათამაშდა რვა ტური. ნონა გაფრინდაშვილს 5 ქულა აქვს. იგი ერთპიროვნული ლიდერია.

## გერასიმე ხაბულიანს — ბრინჯაოს ჯილდო

მაისში ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი ევროპის ძიუდოისტთა მორიგ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ალბათ, ამიტომ, პრაღის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში (იგი წლეულს ოცდამეერთხედ ჩატარდა) მონაწილეობის სურვილი ქვეყნების სარეკორდო რაოდენობამ გამოთქვა. ჩეხოსლოვაკიაში საასპარეზოდ არ ჩასულან მხოლოდ ძიუდოს ფუძემდებლები — იაპონელები, მაგრამ 1991 წლის შეჯიბრებებში მონაწილეობას ისინი რატომღაც ხაზგასმით არიდებენ თავს. (გაიხსენეთ, თბილისის ტურნირი და ევროპაში გამართული კიდევ რამდენიმე შეჯიბრება).

ასპარეზობაში, რომელიც „განთავისუფლების თასის" სახელს ატარებს, სსრკ-მ მხოლოდ ექვსი მოჭიდავე გაგზავნა, მათგან სამმა საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. ესენია: კრასნოარსკელი არსენ აიდაზიანი (71 კგ) და მინსკელი ლეონიდ სვირიდი, რომლებსაც მთავარი ჯილდოები ხვდათ და თბილისელი გერასიმე ხაბულიანი (65 კგ), რომელმაც ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა.

## საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის განცხადება

როგორც ცნობილია, 1991 წლის 17 მარტს ცენტრს განზრახული აქვს ჩაატაროს საკავშირო რეფერენდუმი და შეეცდება, ამით მოიპოვოს მხარდაჭერა საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად. ცნობილია ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე.

სპორტის დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ დღეს, ჩვენი სამშობლოსათვის ისტორიულად ძალზე მნიშვნელოვან და პასუხსაგებ ამ ეტაპზე, უნდა გაკეთდეს ერთადერთი და სწორი არჩევანი — ესაა ერთსულოვანი მონაწილეობა 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამასთან, კატეგორიული უარი უნდა ვთქვათ და არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში.

გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები, სპორტის მუშაკები, სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე, 31 მარტის რეფერენდუმში ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

**საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი.**

• • •

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა ყოველი ჩვენგანის ნატვრაა და ოცნება. ჰიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების თანამშრომლები 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში არ მივიღებთ მონაწილეობას, ამასთან ერთად, გაცნობებთ, რომ 31 მარტს მივიღებთ მონაწილეობას რესპუბლიურ რეფერენდუმში და ხმას მივცემთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

**ომზარ შოშიტაშვილი,**
ჰიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების დირექტორი.

უმაღლესი ოსტატობის საზომი

## სელეში — პირველი, მესხი — მეთვრამეტე

ქალთა ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციამ (ვიტა-მ) დაასახელა უძლიერესთა ოცეული 1991 წლის მარტისათვის. რეიტინგს პირველად ჩაუდგა სათავეში 17 წლის იუგოსლაველი მონიკა სელეში. სანამ მის წარმატებაზე ვიტყოდეთ ორიოდ სიტყვას, გაგაცნობთ რეიტინგის შედეგებს:

1. მონიკა სელეში (იუგოსლავია).
2. შტეფი გრაფი (გერმანია)
3. მარტინა ნავრატილოვა (აშშ)
4. გაბრიელა საბატინი (არგენტინა)
5. არანტა სანჩესი (ესპანეთი)
6. მერიჯო ფერნანდესი (აშშ)
7. იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია)
8. კატერინა მალეევა (ბულგარეთი)
9. ზინა გარისონი (აშშ)
10. მანუელა მალეევა (შვეიცარია)
11. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)
12. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)
13. ჰელენე სუკოვა (ჩეხოსლოვაკია)
14. ნატალი ტოზია (საფრანგეთი)
15. იუდიტ ვიზნერი (ავსტრია)
16. ნატალია ზვერევა (საბჭოთა კავშირი)
17. ბარბარა პაულიუსი (ავსტრია)
18. ლელა მესხი (საქართველო)
19. ჰელენ კელეში (კანადა)
20. ემი ფრაიზერი (აშშ)



ლელა მესხი.

როგორც ხედავთ, უძლიერესთა სიაში სულ თორმეტი ქვეყანაა წარმოდგენილი, ამდენად, ჩვენი თანამემამულის ლელა მესხის წარმატება უდავოდ საგულისხმოა, მით უფრო, რომ ოცეულში თითო წარმომადგენელი ჰყავთ კანადას, საფრანგეთს, შვეიცარიას, ბულგარეთს და ა. შ. აი, როგორ განაწილდა ადგილები ქვეყნებს შორის: უძლიერესთა სიაში ყველაზე ბევრი წარმომადგენელი — 5 ჩოგბურთელი აშშ-ს ჰყავს. შემდეგ მოდიან: ესპანეთი, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია და სსრკ — 2-2, იუგოსლავიას, გერმანიას, არგენტინას, ბულგარეთს, შვეიცარიას, საფრანგეთსა და კანადას, როგორც უკვე ვთქვით, სიაში თითო ჩოგბურთელი ჰყავთ.

საერთოდ, უძლიერესთა კლასიფიკაციას, რომლის რეგისტრაცია ოფიციალურად 1975 წლიდან დაიწყო, აქამდე ოთხი ლიდერი ჰყავდა. „ჩოგბურთის ტახტზე" ყველაზე მცირე ხნით იჯდა ამერიკელი ტრეისი ოსტინი — სულ რაღაც 4 თვე და 13 დღე. მეორე ამერიკელმა — მარტინა ნავრატილოვამ მსოფლიო რეიტინგებში 7-ჯერ გაიმარჯვა (ამდენჯერ იყო პირველი), მის მეგობარსა და თანაგუნდელს კრის ევერტს — 6 გამარჯვება. შტეფი გრაფი უძლიერესთა სიას სათავეში ჩაუდგა 1987 წლის აგვისტოს და ამ საპატიო ტიტულს დღემდე ფლობდა (ზედიზედ 186 კვირა). ბოლო რეიტინგით უძლიერესთა სიას ლიდერობს იუგოსლაველი მონიკა სელეში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგი ამ როლში ყველაზე ახალგაზრდა „გვირგვინოსანია".

ამბობენ, მონიკა, ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული ჩოგბურთელი გახდაო. მაგრამ ეს მთლად სწორი არ არის, თუმცა თავისი ორწლიანი კარიერის მანძილზე პრემიების სახით მას 2 მილიონ დოლარამდე აქვს მიღებული. აქ იგი შტეფი გრაფთან შედარებით ჯერ კიდევ „ჩვილი ბავშვია".

გრაფს „ფორბსის" რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს ყველაზე მდიდარ სპორტსმენთა სიაში 6,1 მილიონი დოლარით მეცამეტე ადგილი უკავია და სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა შორის ჩამორჩება მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზე მყოფ თანამემამულეს ბორის ბეკერს (7,2 მილიონი დოლარი).

მონიკა სელეშს, როგორც ჩოგბურთელს, დიდ დახმარებას უწევენ შინაურები — მამა კაროი და ძმა ზოლტანი. სელეშები ამჟამად ცხოვრობენ ფლორიდაში. იგი „ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიის" აღსაზრდელია (სხვათა შორის, ამ აკადემიაში დაოსტატდნენ ანდრე აგასი, მაიკლ ჩანგი და ბევრი სხვა ცნობილი სპორტსმენი).

## ტურნირები და შედეგები

● **კალათბურთი.** როგორც ცნობილია, 12-17 ივნისს ისრაელში კალათბურთელ ქალთა ევროპის მორიგი ჩემპიონატი გაიმართება. მოეწყო კენჭისყრა, რომელმაც გამოავლინა ჯგუფების მონაწილენი. პირველ ჯგუფში მოხვდნენ: ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი და ისრაელი, მეორეში — იტალია, იუგოსლავია, პოლონეთი და სსრკ. ჯგუფური ტურნირები წრიული სისტემით გაიმართება. მერე გამოვლინდებიან ნახევარფინალებისა და ფინალის მონაწილენი.

● ველოსპორტი. პროფესიონალთა პოპულარული ველორბოლის მესამე ეტაპი — პარიზი-ნიცა (157 კმ) მოიგო გერმანელმა ანდრეას კოპერსმა, რომელიც უფრო მეტად ცნობილია, როგორც ტრეკზე მრბოლი. დისტანცია მან 4:18.42-ში დაფარა. არ გაუმართლა მსოფლიოს 1989 წლის თასის მფლობელს ირლანდიელ შონ კელის, რომელიც ცუდად დაეცა და ლავიწის ძვალი მოიტეხა. სამი ეტაპის ჯამში რბოლას ლიდერობს პირველ ეტაპზე გამარჯვებული შვეიცარიელი ტონი რომინგერი.

● **ფიგურული ციგურაობა.** მიუნხენში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ სენსაციად მიიჩნევენ იმას, რომ წყვილთა სრიალში ლიდერობა ორიგინალური პროგრამის შესრულების შემდეგ ხელთ იგდეს კანადელებმა — იზაბელ ბრასერმა და ლოიდ ეისლერმა და არა რომელიმე საბჭოთა წყვილმა.

● ცხენოსნობა. კალიფორნიის (აშშ) ქალაქ არკადიაში გამართულმა პრესტიჟულმა დოღმა წარმატება მოუტანა ოთხწლიან ცხენს ფარმა ვეის და მის მხედარს გერი სტივენსს. გამარჯვებულებმა „სანტა-ანიტა განდიკაპის" 1,25-მილიანი დისტანცია 2 წუთსა და 11,5 წამში დაასრულეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ დოღის საპრიზო ფონდი 1 მილიონ დოლარს შეადგენდა.

● **ჭადრაკი.** ევროპის უძლიერესი კლუბის სახელს წლეულს ერთბაშად ორი გუნდი დაეუფლა. გერმანიის ქალაქ ზოლინგენში გამართულ ფინალურ ასპარეზობაში ვერც „ზოლინგენ-1868"-მ და ვერც ცსკა-მ წარმატებას ვერ მიაღწიეს. პირველ წრეში ბრძოლა მეტოქეებმა ფრედ (8:8) დაამთავრეს. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მეორე და შემდეგ მესამე დამატებითი წრე.

● ძალოსნობა. შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით, საბჭოთა ძალოსნებს, მსოფლიო კლასიფიკაციაში მხოლოდ ოთხი პირველი ადგილი ხვდათ. ესენი არიან: ვლადიმერ კუზნეცოვი (75 კგ), ალტიმურად ორაზდურდიევი (82,5 კგ), ვიაჩესლავ რუბინი (90 კგ) და ალექსანდრე კურლოვიჩი (სუპერმძიმე წონა). ბულგარელებმა ამ კლასიფიკაციაში საბჭოთა ძალოსნებს საგრძნობლად გაუსწრეს.

გამოხმაურება ქალბატონ ნინა ზუხბაია-კუპრეიშვილის წინადადებაზე

## ნარდის ფედერაცია მხარს გიჭერთ

ქალბატონო ნინა! სიამოვნებით ვიღებთ თქვენს წინადადებას 60 წელს გადაცილებული ქალებისთვის ნარდში რესპუბლიკური ტურნირის ჩატარების თაობაზე („ლელო", 8 მარტი, 1991 წ.), ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ტურნირი ხელს შეუწყობს ნარდის შემდგომ პოპულარიზაციას ჩვენში.

ყოველმხრივ ვეცდებით ტურნირი ჩავატაროთ მაღალ დონეზე: დავაწესებთ სპეციალურ პრიზებსა და ფულად ჯილდოებს, ტურნირს გავაშუქებთ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

ნარდის მსოფლიო ფედერაციის მიერ მიღებული ახალი წესების გასაცნობად, ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავატარებთ მონაწილეთა შეკრებას.

ტურნირის ჩატარება მაისის თვეშია ნავარაუდევი.

მონაწილეთა რეგისტრაციისა და ტურნირის ჩატარების ზუსტი ვადები გამოქვეყნდება გაზეთებში „ლელოში" და „ნატვრისთვალში".

ტურნირი ჩატარდება შესატანი თანხის გარეშე. ყველა ხარჯებს საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია გაიღებს.

ქალბატონო ნინა!

გვინდა დიდი მადლობა გითხრათ, ასეთი მშვენიერი იდეის მოწოდებისათვის. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება ფართოდ გამოეხმაურება თქვენს წინადადებას.

**პატივისცემით თ. ურუშაძე,**
**საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის გენერალური დირექტორი.**

## ტურისტული საგზური მხოლოდ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის სპორტულ-ტურისტული ფირმა „მინდია" 1991 წლის 1 მარტიდან გიწვევთ სამოგზაუროდ თურქეთის რესპუბლიკაში, მარშრუტით: ბათუმი-რიზე-ტრაპიზონი-ბათუმი.

ჯგუფები დაკომპლექტდება მხოლოდ ფიზკულტურული კოლექტივების განცხადების მიხედვით. ლირებულების გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრებ გუნდებს საშუალება ექნებათ, ჩაატარონ სამატჩო შეხვედრები თურქეთის ადგილობრივ გუნდებთან სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე: ბათუმი, 384503, გოგებაშვილის 7. ტელეფონი: 3-28-73.

**„ლელოს" სპეც. კორ.**
**ბათუმი.**

## ასოციაციის პრეზიდიუმი ხვალ იკრიბება

**ხვალ, 15 მარტს, „ლელოს" რედაქციაში მოწვეულია მოხალისე ბის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომა.**

**პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.**

**დასაწყისი 17 საათზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ისტორია

# გამორჩეული ფალავანი იყო...

20-იანი წლების ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში ჭიდაობას გამორჩეული ადგილი ეკავა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან საუკუნეების მანძილზე ჭიდაობა ქართველთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების ერთ-ერთ მთავარ ნიშნად ითვლებოდა. კარგი ფალავანი კი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა სამშობლოში.

მას შემდეგ, რაც პირველი მსოფლიო ომის წლებში ჭიდაობის მოყვარულებს რიონისპირა ქალაქში თავიანთი კერპები გაუჩნდათ — მიშიკო მაჩაბელი, კოლია ქვარიანი, სერგო კაკაურიძე და ლავრენტი კახეთელიძე — ერთიორად გაიზარდა ქუთაისელების ინტერესი და სიყვარული სპორტის ამ რაინდული სახეობისადმი.

ამ შესანიშნავ ოთხეულში გამორჩეული ფალავანი იყო ჭიდაობის უბადლო ოსტატი სერგო კაკაურიძე, რომელიც რაინდული სულით, გასაოცარი ძალ-ღონით, ლამაზი ჭიდაობით, ილეთების კარგი ცოდნით და სწრაფი, მოულოდნელი შეტევებით აღაფრთოვანებდა ჭიდაობის გულშემატკივრებს. მისი ყოველი გამოსვლა საჭიდაო სარბიელზე საინტერესო და მიმზიდველი იყო. მისთვის არ არსებობდა სუსტი და ძლიერი მოწინააღმდეგე, ყოველ მეტოქეს თანაბრად აფასებდა და გულმოდგინედ ერკინებოდა.

სერგო კაკაურიძე 1901 წელს დაიბადა ქუთაისის მახლობელ სოფელ კვახჭირში. ბავშვობაშივე გამოირჩეოდა ძალ-ღონით. ზურგზე შეისვამდა 4-5 თანატოლს და თავისუფლად დადიოდა აღმა-დაღმა. სიჭაბუკის წლები ქუთაისს დაუკავშირა და საცხოვრებლადაც ეს ქალაქი ირჩია.

18 წლის ჭაბუკმა მუშაობა ქუთაისის ხორცკომბინატში დაიწყო და სულ მალე მთელი კოლექტივის ყურადღება მიიპყრო. საქმე ის იყო, რომ „ბოინში" დასაკლავად მოყვანილი საქონლის გაბრუება თავში ვეებერთელა უროს დარტყმით ხდებოდა. სერგო კაკაურიძე კი ხელის ერთი დარტყმით ძირს სცემდა საქონელს. ქალაქში უცბად გავარდა ხმა ახალი თანამშრომლის საარაკო ფიზიკურ ძალაზე. მაშინ მთელი ქალაქი სერგო კაკაურიძეზე ლაპარაკობდა. ხმებმა იმ დროისათვის პოპულარული ფალავნის კოლია ქვარიანის ყურამდეც მიაღწია, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა, კაცმა-საოცრებამ როგორ დასცა ვეებერთელა ხარი შუბლში მუშტის ერთი დაკვრით.

მართალია, სერგო კაკაურიძე 2 წლით უფროსი იყო კოლია ქვარიანზე, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ კოლია ქვარიანს ცირკში მიეწვია კაკაურიძე და თვითონვე ყოფილიყო მისი პირველი მწვრთნელიც.

სულ მალე ქუთაისის ცირკში შედგა სერგო კაკაურიძის დებიუტი. მისი მეტოქე სახელოვანი ფალავანი ავგუსტ პეტერსონი იყო. თანაქალაქელები განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მათთვის უცნობი ქართველი ფალავნის ჭიდაობას, რომელმაც შეხვედრის 28-ე წუთზე მოხდენილი ილეთით ბეჭებზე დასცა მოწინააღმდეგე. ასე დაიწყო სერგო კაკაურიძის ბობოქარი სპორტული ცხოვრება.

ახალგაზრდა ფალავანი სერგო კაკაურიძე ჭიდაობის გარდა ძალოსნობასაც მისდევდა. შერკინების დაწყების წინ სცენაზე გამოსული ბრგე ვაჟკაცი სასწაულებს ახდენდა: ღუნავდა მხრებზე გადებულ ლიანდაგის ნაჭრებს, გრეხდა რკინის სამაგრებს და მსხვილ ლურსმნებს, სწევდა სიმძიმეებს, რასაც ალტაცებაში მოჰყავდა განცვიფრებული მხილველი.

სერგო კაკაურიძის ფენომენალური შესაძლებლობის შესახებ დღესაც ლეგენდები დადის ხალხში.

ერთხელ პოპულარულ ფალავანს საწნეხლის გაკეთება განუზრახავს. ტყეში ხის მოჭრის სპეციალური საბუთიც მიუღია და აჯამეთის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობას მიადგა. რა თქმა უნდა, მეტყევეებმა სერგო კაკაურიძე იცნეს და, როცა სათანადო საბუთიც იხილეს, ნება დართეს მოეჭრა საჭირო ხე.

მასპინძლებს გაუკვირდათ, რომ მოჭრილი ხის ტყიდან გამოსატანად სერგო კაკაურიძეს ტრანსპორტი კი არა, ერთი კაციც არ ახლდა. უფრო გაოცებულნი მეტყევეები საღამოს დარჩნენ, როცა მათ გზაზე „მომავალი" დიდი, 12-15 მეტრი სიგრძის ხე დაინახეს, რომელიც ზურგზე მოედო ცნობილ ფალავანს და დინჯად მიდიოდა შინისაკენ.

გადმოგვცემენ, რომ ერთხელ ქუთაისელ ვასილ ეფრემიძეს ხორცკომბინატში ვეებერთელა ხარები ჩაუბარებია. როცა პირუტყვის დაკვლა განუზრახავთ, გასაბრუებლად ურო თავში უხერხულად ჩაურტყავთ. მძიმე იარაღმა პირუტყვს ვერაფერი დააკლო და ტკივილისაგან გახელებული ხარი თანამშრომლებს მიუბრუნდა. შეიქმნა ერთი წივილ-კივილი და, ვინ იცის, საქმე რით დამთავრდებოდა, რომ არა ბედად იქ მისული სერგო კაკაურიძე, რომელიც მოხერხებულად ეცა ხარს რქებში, მთელი ძალით გადაუგრიხა კისერი და დამორჩილებული პირუტყვი ძირს დასცა.



სერგო კაკაურიძე

მას შემდეგ, რაც ნიჭიერი ფალავანი საფუძვლიანად დაეუფლა ჭიდაობას, იგი სხვადასხვა რანგის ფალავანთა ტურნირებში მონაწილეობდა. წლების მანძილზე სერგო კაკაურიძეს წარმატებით უასპარეზია ქუთაისის, თბილისის, ბაქოს, სოხუმის, ბათუმის, ვლადიკავკაზის, არმავირის, როსტოვის, პიატიგორსკის, მოსკოვის, რიაზანისა და სხვა ქალაქების საჭიდაო სარბიელზე. სხვადასხვა დროს სერგო კაკაურიძის მეტოქეები იყვნენ საქვეყნოდ აღიარებული ფალავნები: ვანო გედელაური, ნიკოლოზ ვასტუროვი, პავლე ზაგორუიკო, ავგუსტ პეტერსონი, ივანე ზაიკინი, კარას ზამუკოვი და მრავალი სხვა.

1923 წლის მაისის წყნარი საღამო იყო. ქუთაისის ცირკი ხალხით გავსებულიყო. მაყურებლებს მთელი ყურადღება სერგო კაკაურიძის ჭიდაობისკენ მიემართათ. მას წინა დღეს დაძაბულ ბრძოლაში დაემარცხებინა ცნობილი რუსი ფალავანი ნიკოლოზ რაზინი, ხოლო იმ დღეს კარას ზამუკოვს უნდა შეტოქებოდა. ქართველმა ფალავანმა კარგად იცოდა, რა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე. კარას ზამუკოვი დიდ ფიზიკურ ძალასთან ერთად შესანიშნავად ფლობდა ფრანგული ჭიდაობის ყველა ილეთს. შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და, როცა მეექვსე წუთზე ქუთაისელმა ფალავანმა მეტოქე თავის ფანდზე დაიჭირა და ბეჭებით გააკრა ხალიჩას, მაყურებელთა ოვაციებს და შეძახილებს დასასრული არ უჩანდა. თანაქალაქელებმა თავიანთი კერპი ხელში აყვანილი სამჯერ შემოატარეს ცირკის არენას.

აღსანიშნავია, რომ სერგო კაკაურიძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ფალავანთან აპოლონ სტარიაშვილთან, რომელიც 1921 წლიდან ქუთაისში ცხოვრობდა და წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდა რიონისპირა ქალაქის ცირკის არენაზე. სახელოვან ფალავანს წარმატებით უასპარეზია გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის, საფრანგეთის, რუმინეთის და სხვა ქვეყნების მოჭიდავეთა დიდ ტურნირებში. მისი ნამდვილი გვარი სტარისელსკია. იგი წარმოშობით რუსი იყო, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს და ქართველ ხალხს.

1926 წელს ქუთაისის ცირკში სერგო კაკაურიძეს მორიგი გამარჯვება მოუპოვებია. მისი მეტოქე ცნობილი ფალავანი — „სიკვდილის ნიღაბი" იყო. როცა ქართველმა ფალავანმა მეტოქე წააქცია, „სიკვდილის ნიღაბმა" რაინდისათვის უკადრისი რამ ჩაიდინა — წაქცეულმა მკლავზე უკბინა კაკაურიძეს. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მაყურებლებს არაფერი შეუნიშნავთ. ტკივილისაგან გამწარებულმა და გაოგნებულმა კაკაურიძემ მოულოდნელად წაქცეული ფალავანი ბეჭებზე „შოირგო" და ჭიდაობის ორგანიზატორების წინ მოისროლა. გულშემატკივრები გაოცებულნი შეჰყურებდნენ გაბრაზებული და აკანკალებული თანაქალაქელის უცნაურ საქციელს, რომლის გახელების ნამდვილი მიზეზი მათთვის უცნობი დარჩა.

ერთადერთი, ვინც უმალ მიხვდა, თუ რაში იყო საქმე, სახელოვანი ფალავანი კოლია ქვარიანი გახლდათ, რომელმაც იმ ღამესვე ძლივს შეარიგა განაწყენებული მეტოქეები.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ უნიკალური აფიშის ფოტორეპროდუქციას, რომელიც იუწყება, რომ 1935 წლის აპრილის მეორე ნახევარში ქუთაისში სტუმრად ჩამოსულა ბაქოს სახელმწიფო ცირკი ცნობილი კომიკოსების პატი და პატაშონის თავკაცობით. როგორც წესი, პროგრამის მეორე ნახევარი მთლიანად სახელოვან ფალავანთა პაექრობას დათმობია. როგორც აფიშიდანაც ირკვევა, ჭიდაობის დაწყების წინ სერგო კაკაურიძე საინტერესო ნომრებით უნდა წარმდგარიყო მაყურებელთა წინაშე. კერძოდ, ქართველი ფალავანი გაღუნავდა ლიანდაგის დიდ ნაჭერს და იჭიდავებდა ხარებთან. ბუნებრივია, ასეთი ურთულესი ნომრების შესრულებას გასაოცარი ძალ-ღონე და ენერგია სჭირდებოდა. ყოველივე ეს კი უხვად ჰქონდა მომადლებული სერგო კაკაურიძეს, რომლის მიერ შესრულებული გასაოცარი ნომრების სანახავად ყოველთვის დიდძალი ხალხი აწყდებოდა ქუთაისის ცირკს.

იმავე აფიშის მეშვეობით ვიგებთ, რომ 1935 წლის 20 და 21 აპრილს სერგო კაკაურიძე შეხვედრია ცნობილ ფალავნებს: პავლე ზაგორუიკოს და კარლ პოსპეშილს.

მოულოდნელი და ბურუსით მოცული იყო სერგო კაკაურიძის სიკვდილი. 34 წლის ვაჟკაცი 1935 წელს ვლადიკავკაზში ასპარეზობდა მოჭიდავეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში. როგორც ლავრენტი კახეთელიძე იგონებს, შეჯიბრება წარმატებით დაუწყია ქართველ ფალავანს — ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოუპოვებია. მაყურებლები აღტაცებულნი იყვნენ სერგო კაკაურიძის გასაოცარი ძალ-ღონით და ოსტატობით. ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ, გვიან საღამოს, ფალავანი უეცრად ცუდად შეიქნა. სიმწრისაგან, როცა სიკვდილს თვალებში უყურებდა, უკანასკნელი ძალები მოუკრებია და საწოლის თავები ისე დაუგრეხია, რომ მიცვალებული სპეციალური შესადუღებელი აპარატის დახმარებით, დაგრეხილი საწოლის თავების გადაჭრის შემდეგ ძლივს ამოუყვანიათ.

ცნობილი ფალავნის ქალიშვილი დალი კაკაურიძე იგონებს: „1951 წელს წყალტუბოში ისვენებდა სახელოვანი მოჭიდავე პავლე ზაგორუიკო, რომელიც ოჯახში გვესტუმრა. დიდხანს ისაუბრა საპატიო სტუმარმა და ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა მამაჩემის ცხოვრებიდან. ბოლოს კი დასძინა, კოლია ქვარიანი, მიშიკო მაჩაბელი, სერგო კაკაურიძე, ლავრენტი კახეთელიძე, მართლაც რომ მაღალი კლასის ოსტატები იყვნენ, ისინი ნებისმიერი ქვეყნის სპორტის ისტორიას დაამშვენებდნენო".

სერგო კაკაურიძე და მისი თანამებრძოლი ქართველი ათლეტები ჭეშმარიტად რაინდული ზნის ფალავნები და ადამიანები იყვნენ და კაცურ-კაცობის სიმბოლოდ შემორჩნენ შთამომავალთა ხსოვნას.

ზურაბ ჯავახაძე

ქუთაისი




გვახსოვხარ, მეგობარო!

# „მართვე-1"-ის დაინყო

ის ჯერ 13 წლისაც არ იყო, დღეს კი 14 წელი შეუსრულდებოდა. სწავლობდა 58-ე კალათბურთის სპეციალიზებულ სკოლაში და უზომოდ იყო გატაცებული კალათბურთით, თავის ასაკში რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატიც გახდა. უაღრესად ნიჭიერი მოზარდი კალათბურთელი შოთა მირუაშვილი „მართვეს" გუნდში გამოდიოდა.

ნორჩ კალათბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც 58-ე სკოლამ ჩაატარა შ. მირუაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ეს ტურნირი, რომელშიაც რვა გუნდი („მართვე" — ორი, „დინამო", „ლოკომოტივი", თსუ, სოხუმი, ქუთაისი, რუსთავი) მონაწილეობდა, მომავალში ტრადიციული გახდება;

„მართვე-1", რომელშიც ადრე შ. მირუაშვილი თამაშობდა, უძლიერესი იყო და ტურნირში გამარჯვებულთა ათვლა ამ გუნდის წარმატებით დაიწყო, მეორე ადგილზეა თსუ, მესამეზე — „დინამოს" გუნდი.



სურათზე: შ. მირუაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ერთ-ერთი შეხვედრის ეპიზოდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

• • •

მეგობრებს ნაადრევად გამოკლებული, ახალგაზრდა კარატისტის რეზო რუხაძის ხსოვნას მიეძღვნა სამტრედიის აღმოსავლური ორთაბრძოლების სპორტული საწარმოო ასოციაციის პირველობა კონტაქტიან კარატეში (კარატე კიოკუშინკაი), რომელიც ახლახან გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ სოხუმელი, აბაშელი და სამტრედიელი კარატისტები.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: მ. სავკინი, ნ. ნარსავიძე (ორივე — სოხუმი), ზ. ხვედელიძე, გ. გოგიშვილი (ორივე — სამტრედია), გ. ქვანია (აბაშა) და დ. კლარჯეიშვილი (სამტრედია).

აბსოლუტურ პირველობაში რეზო რუხაძის სახელობის თასზე უძლიერესი იყო გ. გოგიშვილი (სამტრედია).

იორამ ნიკოლეიშვილი

## ინფორმაცია

მას შემდეგ, რაც ამერიკულმა ქალაქმა ატლანტამ 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მიიღო, საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტი იბრძვის, რათა ხოლმე ამ (1996) წელს მას მარათონელთა ოლიმპიური შეჯიბრება მაინც ჩაატარებინოს (ცხადია, გამონაკლისის სახით). როგორც ცნობილია, 1996 წელს სრულდება 100 წელი პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ჩატარებიდან.

ემზადებიან...

# კონკურენცია პასუხისმგებლობას ამაღლებს



მალე დაიწყება ფეხბურთში მეორე ეროვნული ჩემპიონატი. გუნდები დროს უქმად არ კარგავენ, რათა ღირსეულად ჩაებნენ კარსმომდგარ საფეხბურთო ბატალიებში. ლანჩხუთის „გურია", რომელსაც ფორტუნამ გასულ სეზონში ტრიუმფატორის როლი არგუნა წილად, მოსამზადებელი ციკლის უკანასკნელ ეტაპს საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე გადის. ამას წინათ, „გურიამ" დაამარცხა ვანის „სულორი" 6:0. ერთ-ერთი ასეთი საკონტროლო მატჩის წინ „გურიასა" და „ბათუმს" შორის, გავესაუბრეთ ლანჩხუთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს გიგლა იმნაძეს.

**● კარს მოგვადგა მეორე ეროვნული ჩემპიონატი. ცნობილია, რომ ლიტველმა ფეხბურთელებმა დატოვეს გუნდი. მიიღეთ თუ არა საიმედო შევსება?**

— გუნდს დაუბრუნდა მისი ძველი წევრი მერაბ მეგრელაძე, რომელიც გამოცდილი ფეხბურთელია, და უდავოა, რომ ახალბედები მის გვერდით სათანადო ცოდნას შეიძენენ. „გორდადან" გადმოვიდა მამუკა აფციაური. „იბერიიდან" კი მეტად საჭირო შევსება მივიღეთ გელა კეტაშვილის სახით. სასიამოვნოა, რომ ეს ფეხბურთელები თავისი სურვილით მოვიდნენ გუნდში, „გურიას" კოლექტივის მეგობრული ტრადიციები ყველასთვის ცნობილია და ამიტომ ისინიც სიხარულით შემოუერთდნენ ჩვენს საქმეს.

**● კეტაშვილი ახსენეთ. იგი „იბერიაში" დაცვაში თამაშობდა, ხომ ინტერესია, ახალი ამპლუა ხომ არ შეურჩიეთ მას?**

— წელიწადია, გელას არ უთამაშია. მოუშუშებელმა ტრავმებმაც თავი შეახსენეს. გუნდის ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი და მასაჟისტი ლევან ხოჯოლავა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ამ ნიჭიერმა მცველმა თავისი „ოლიმპიური" ფორმა აღიდგინოს. რაც შეეხება ამპლუას, იგი „გურიაშიც" დაცვაში გამოვა.

**● სად და როგორ გაიარა გუნდმა მოსამზადებელი ეტაპი?**

— საწვრთნელი ციკლი — ოთხი თოთხმეტდღიანი ეტაპი — ალახაძეში მოეწყო. აქვე 10 ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ, უმთავრესად, საკავშირო ჩემპიონატის II რიგის გუნდებთან. შემდეგ ჩვენს ბაზაზე, გრიგოლეთში გადმოვინაცვლეთ და ამხანაგური შეხვედრებიც გავმართეთ. პირველ კალენდარულ მატჩში ვუმასპინძლებთ უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტს ზესტაფონის „მარგვეთს".

**● „გურია" შარშან საქართველოს თასსაც დაეპატრონა და ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილიც დაიკავა. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა ახალბედა მწვრთნელისთვის. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი, როგორც მწვრთნელის დებიუტით?**

— მეტის მიღწევა შეგვეძლო, მაგრამ ტრავმებმა და უიღბლობამ სეზონის ბოლოს განსაკუთრებით „შემოგვიტია". თუმცა, ვფიქრობ, ურიგოდ მაინც არ გვითამაშია. ასე რომ, კმაყოფილიც ვარ და... მაინც არა ვარ კმაყოფილი, რადგან „დუბლის" გაკეთება შეგვეძლო.

**● წლების განმავლობაში ღირსეულად იცავდით მშობლიური გუნდის კარს. უფროსი მწვრთნელობა, ცხადია, მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. როგორ გრძნობთ თავს თქვენი წინამორბედის ადგილზე?**

— მწვრთნელობა ურთულესი პროფესიაა. ფომენკოს წასვლის შემდეგ გუნდი რვა ფეხბურთელმა დატოვა. დასაწყისი არც ჩემთვის იყო ადვილი. გუნდის ყველა წევრი მხარში ამომიდგა. გარდა ამისა, ფომენკოსთან მუშაობამ ბევრი რამ შემძინა, მის მიერ შედგენილ სასწავლო-საწვრთნელ მეთოდიკით დღესაც ვხელმძღვანელობ და, ვფიქრობ, არც თუ წარუმატებლად.

**● გუნდში ბევრმა გამოცდილმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი...**

— ფეხბურთელებს შორის კონკურენცია პასუხისმგებლობის გრძნობას ამაღლებს. ასეთი პასუხისმგებლობა კი, დამეთანხმებით, წარმატების ერთ-ერთი საწინდარია.

**● როგორ ფეხბურთელებთან გიადვილდებათ ურთიერთობა?**

— ფეხბურთელი, პირველ რიგში, პროფესიონალი უნდა იყოს, შრომისმოყვარე, დისციპლინირებული, საქმის ერთგული. ჩემი აზრით, აი, ეს ფაქტორები განაპირობებს წარმატებას. სამართლიანობა მიყვარს და მომთხოვნიც ვარ. მაგრამ თუ ჩემი კრედო ვინმეს არ მოსწონს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი გზები იყრება.

**● ეროვნულ ჩემპიონატზე რას გვეტყვით, რა უნდა გაკეთდეს გუნდების თამაშის კლასის ასამაღლებლად?**

— დიდი ხანი ქართული ფეხბურთი თავის თავს არ ეკუთვნოდა. როგორც იქნა, გადაიდგა გაბედული ნაბიჯი. ფეხბურთელთა „მამლუქობა" წარსულს ჩაბარდა. ახლა ყველა გუნდს შეუძლია სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. მიღწეულს არ უნდა დავჯერდეთ. გუნდების ოსტატობა რომ ამაღლდეს, ამისათვის დამატებითი სტიმულია საჭირო — ფიფა-ს წევრობას ვგულისხმობ. ეს საჭიროა თუნდაც იმისთვის, რომ მაყურებელი ტრიბუნებს „მივაჯაჭვოთ". კიდევ ერთი ჭეშმარიტება: გაგონილი ერთია და ნანახი მეორე — ამიტომ ხშირად უნდა მოგვეცეს საშუალება ტელევიზიით თვალყური ვადევნოთ საფეხბურთო მატჩებს უცხოური კლუბების მონაწილეობით, სხვაგვარად, როგორ გვინდა, დავეწიოთ მათ.

**● გუნდის კონკრეტულ გეგმებზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა.**

— პირველ წრეში ლიდერთა სამეულში გვინდა ვიყოთ. თასის ფინალსაც დიდი სიამოვნებით გავიმეორებდით. ეს, ასე ვთქვათ, გეგმა-მინიმუმია. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**● ბატონო გიგლა, გუნდთან კონტრაქტის ვადა განსაზღვრული გაქვთ თუ...**

— ჩემი აზრით, საკუთარი საქმიანობის შეფასების საუკეთესო საშუალება პრესაა. სანამ ჟურნალისტებისაგან კომპლიმენტები არ მოგვაკლდება, ვთვლი, რომ გუნდში ყველაფერი რიგზეა და ჩემი ადგილიც აქ არის. ქებაც ხომ პასუხისმგებლობას ზრდის.

P.S. „გურიამ" ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ბათუმის „ბათუმი" 2:1. გოლები გაიტანეს მ. მეგრელაძემ და ბ. ფრიდონაშვილმა („გურია"), ტ. დურდიაძემ თერთმეტმეტრიანით („ბათუმი").

**გოჩა ვასაძე,**
**მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### 15 მილიონი დოლარი

როგორც რუმინული პრესა იუწყება, ეროვნული ნაკრების თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელი საზღვარგარეთის კლუბებში გადავიდა. ამის სანაცვლოდ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ 15 მილიონი დოლარი მიიღო. როცა უკანასკნელად ესპანეთის პირველი ლიგის კლუბ „რეალში" (სარაგოსა) გადავიდა რუმინეთის ნაკრების წევრი, „ფრანს ფუტბოლის" პრიზ „ოქროს ბუცის" 1989 წლის ლაურეატი დორინ მატეუტი, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ 700 ათასი დოლარი მიიღო.

### ყველაზე ხნიერი, ყველაზე ახალგაზრდა

იტალიური პრესის ცნობით, ამჟამად პირველი ლიგის ფეხბურთელთა მწვრთნელებს შორის ყველაზე უფრო ხნიერია 55 წლის ვუიადინ ბოჟკოვი, ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი, რომელიც ამჟამად დიდი წარმატებით ხელმძღვანელობს გენუის „სამპდორიას". იგი მთელი 21 წლით არის უფროსი ლიგის ყველაზე უფრო ახალგაზრდა მწვრთნელზე, პოლონელ ზბიგნევ ბონეკზე, რომელიც სათავეში უდგას „ლეჩეს".

პრესა იმასაც აღნიშნავს, რომ იტალიის პირველ ლიგაში ამჟამად მუშაობს სამი უცხოელი, სხვადასხვა დროს ეროვნული ნაკრებების ხელმძღვანელები. ბოჟკოვის გარდა ესენი არიან სებასტიანო ლაზარონი (40 წლის ბრაზილიელი) და მირჩა ლუჩესკუ (45 წლის რუმინელი).

# „როცა გრძნობ, რომ ხელშეუხებელი ხარ..."

**ფეხბურთელთა** უმრავლესობა შეხვედრის დაწყების წინ მონუსხულივით შეჰყურებს არბიტრს. ბევრ მოთამაშეს საფეხბურთო თემიდის მსახურებთან „პირადი ანგარიშები" აქვს: სადღაც გააფრთხილეს, სადღაც მოედანი დაატოვებინეს, სიტყვიერი შენიშვნა მისცეს... ყოველივე ამის მატჩის წინ გახსენება უარყოფით გავლენას ახდენს ფეხბურთელთა თამაშის ხარისხზე. მაგრამ, საბედნიეროდ, დღესდღეობით ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე არბიტრთა შორის ისეთებიც გვყავს, რომლებთანაც ფებურთელთა უმეტეს ნაწილს მხოლოდ სიმპათიები თუ აკავშირებს. ერთ-ერთი მათგანი თამაზ ლაცაბიძეც გახლავთ. ეს კი მის პროფესიონალიზმზე და საქმისადმი დიდ სიყვარულზე მეტყველებს.

**● ბატონო თამაზ, მოგეხსენებათ, ჩვენთან, საქართველოში, როცა ყოველ გულშემატკივარს თავი ფეხბურთის მცოდნედ მოაქვს და მათი უმეტესობა მართლაც კარგად ერკვევა ამ რთული თამაშის ნიუანსებში, ორმაგი საფიქრალი და საზრუნავი გიჩნდებათ, ეჭვი არ გვეპარება, პროფესიის არჩევა თქვენთვის იოლი არ უნდა ყოფილიყო.**

— მართალს ბრძანებთ, არბიტრობა თუ ჩემი პროფესია გახდებოდა, ამაზე არც მიფიქრია. ისევე როგორც ჩემი თაობის ბიჭების უმეტესობა, მეც ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. რამდენიმე წელიწადი თბილისში, „ფეიქარის" სტადიონზე, ბატონ ვანო შუდრასთან ვვარჯიშობდი. გადიოდა წლები, ბევრმა ჩემმა მეგობარმა საგრძნობლად მოუმატა თამაშს. წყალწაღებული არც მე გახლდით, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, დიდი ფეხბურთის თამაშს ვერ შევძლებდი, ამიტომაც გადავწყვიტე თავი დამენებებინა ვარჯიშისათვის. რამდენიმე თვეში ელმავალმშენებელ ქარხანაში დავიწყე მუშაობა, მაგრამ ფეხბურთზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. ერთ დღესაც, უფრო ზუსტად 1971 წლის 14 თებერვალს, „ლელოში" გამოჩნდა ცნობა, სადაც ბატონი ილია ბოჭორაძე დამწყებ არბიტრებს სემინარებზე იწვევდა. მეც გადავწყვიტე მეცადა ბედი, რადგანაც მივხვდი, ბურთმა საბოლოოდ მომაჯადოვა და თავის მსახურად გამიხადა. ასე ავიღე პირველად სასტვენი ხელში და აი, უკვე ოცი წელიწადია ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები. ამ ხნის განმავლობაში ვიმსაჯე ათას ორასზე მეტი სხვადასხვა რანგის მატჩი. ოცდაერთი წლის ასაკში მომენიჭა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება, რაც იმ დროისათვის საკმაოდ იშვიათი შემთხვევა გახლდათ.

**● 1988 წელს თქვენ, გურამ გაბისკირია, ავთანდილ კოკაია და გურამ სეფიაშვილი საკავშირო კატეგორიის არბიტრები გახდით. ორი წლის შემდეგ ქართულ ფეხბურთში ისტორიული მოვლენა მოხდა — დამოუკიდებელი ჩემპიონატი ჩავატარეთ, ამიტომ მსაჯებმაც, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატს ემსახურებოდით, უარი განაცხადეთ „ცენტრთან" თანამშრომლობაზე. ორი წელი საკმაო დრო იყო იმისათვის, რომ კარგად ჩაგეხედათ მათ „სამზარეულოში" და გადმოგეღოთ ყველაფერი, რაც სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ფეხბურთს.**

— რესპუბლიკის მსაჯების უმრავლესობა სიხარულით შეხვდა სიახლეს, რომ ჩვენი რესპუბლიკა დამოუკიდებლად გამართავდა საკუთარ ჩემპიონატს, თუ ვინმეს ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელ დღეზე შესტკივა გული, გვერწმუნეთ, მათ შორის არბიტრებიც ვართ. საკავშირო პირველობის დადებითი ფაქტორები ახსენეთ. გეტყვით, ჩემი აზრით, რა არის მათგან პირველ რიგში გადმოსაღები და ანგარიშგასაწევი. არ მახსოვს შემთხვევა, რომ შესვენებაზე ან მატჩის შემდეგ მსაჯების გასახდელში ვინმე უცნობი შემოსულიყო და რაიმე საყვედური ან პრეტენზია გამოეთქვა ჩვენს მიმართ. ელემენტარული ჭეშმარიტებაა: როცა გრძნობ, რომ ხელშეუხებელი ხარ, უფრო გიიოლდება მატჩის გაძღოლა. ეს თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი ძალიან მოქმედებს ჩვენზე. ვერა და ვერ დაადგა საშველი იმას, რომ რესპუბლიკაში საქართველოს გუნდების ასპარეზობის დროს გარეშე პირები მსაჯთა ოთახს არ გააკარონ. უმეტესად რაიონებში, მსაჯთა ოთახში, მრავლად იყრის თავს ისეთი ხალხი, ვისაც არაფერი აკავშირებს ფეხბურთთან. ზოგი გედავება, სხვადასხვა ეპიზოდებს გახსენებს, გიმტკიცებს თავის სიმართლეს; ზოგი კი გაქებს... მოკლედ, დაღლილი და ნერვებდაწყვეტილი აგრძელებ თამაშს. ასეთი დაძაბულობის შემდეგ ბუნებრივია, ხშირად ვუშვებთ შეცდომებს. ბოლო დროს ვიდეოფირზე მატჩის ასახვამ ერთობ ცუდ დღეში ჩაგვაგდო. კლუბების უმრავლესობას შტატიანი ოპერატორი ჰყავს, რომლებიც მთელ შეხვედრას ფირზე იღებენ და ნებისმიერ მცირე შეცდომასაც კი თამაშის დამთავრებისთანავე „თვალებზე აგაფარებენ".

**● გულშემატკივართა უმრავლესობას ეგონა, რომ ვიდეოკამერით მატჩის ჩაწერა თქვენც ბევრ რამეში სასიკეთოდ წაგადგებოდათ.**

— არც ერთ ქვეყანაში არ ისჯება არბიტრი ვიდეოჩანაწერის საშუალებით, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ფირის „დატრიალება" წყვეტს ყველაფერს. შეცდომებისგან არც ერთი პროფესიის ადამიანი არ არის დაზღვეული. რაღა თქმა უნდა, უცოდველი კრავები არც ჩვენ — მსაჯები ვართ. ზოგ შემთხვევაში ვცდებით კიდეც, მაგრამ, მერწმუნეთ, განზრახ მიკერძოებას არ ვიჩენთ. მცირე დარღვევისთვისაც კი, რომელიც ვერ დავაფიქსირეთ, გასახდელშივე უნდა ვაგოთ პასუხი. მაშ რაღად ინიშნებიან თითქმის ყოველ მატჩზე კომისრები, რომელთა უმრავლესობაც საკმაოდ გამოცდილი და უნარიანი სპეციალისტია? სწორედ მათ უნდა გაარჩიონ ჩვენი თამაში და ნიშანიც შესაფერისი დაგვიწერონ. ყველამ კარგად ვიცით, რა მდგომარეობაა რაიონებში. კლუბებში ძირითადად მოწვეული მწვრთნელები მუშაობენ. მათთვის მთავარი მიზანია, რადაც უნდა დაუჯდეთ, გაიმარჯვონ შინ, რათა ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და გულშემატკივრების თვალში კიდევ უფრო აიმაღლონ ავტორიტეტი; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათ გუნდს თამაში არ გამოსდის, ანდა აგებენ შეხვედრას, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, წარუმატებლობა მსაჯებს გადმოგვაბრალონ. ხშირ შემთხვევაში ისინი თამაშს არც უყურებენ და მხოლოდ ჩვენს შეცდომებს აღნუსხავენ საგულდაგულოდ.

ერთ-ერთ თათბირ-სემინარზე, სადაც მწვრთნელებთან ერთად ჩვენც ვიყავით მიწვეულნი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა რამუალდას იუშკამ ასეთი რამ გაიხსენა: „1984 წელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ერთ-ერთი პრინციპული მატჩის მსაჯობა დამევალა. თამაშის შემდეგ, როდესაც ამ მატჩში მოასპარეზე გუნდის მწვრთნელს ჰკითხეს, როგორ შეაფასებდა ჩემს მსაჯობას, მან აღნიშნა, — სამწუხაროდ, მე იმის დრო არ მრჩება, რომ მინდორზე ფეხბურთელების გარდა მსაჯებსაც ვუყურო". როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! საბედნიეროდ, ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ქალაქში ნორმალურად ტარდება ჩემპიონატის მატჩები, რის გამოც, პირველ რიგში, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს უნდა ვუთხრათ მადლობა — შეცდომასაც დიდსულოვნად გვპატიობენ და ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეგვიწყონ, რათა ნორმალურად წარვმართოთ მატჩი. ვსარგებლობ შემთხვევით და, ჩემი კოლეგების სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო სოხუმის „ცხუმისა" და ბათუმის „ბათუმის" მთავარ მწვრთნელებს ბატონ [illegible] და შოთა [illegible], რომლებიც ყველაზე რთულ სიტუაციაშიც არ კარგავენ წონასწორობას. მახსოვს, რამდენჯერ შემოსულა ბატონი გიგა გასახდელში, უმძიმესი მატჩის შემდეგ მამაშვილურად დავურიგებივარ, მადლობა გადაუხდია ჩვენთვის და ნაკლზეც საკმაოდ უსაუბრია. ჩვენც ადამიანები ვართ და ესოდენ თბილი, კაცური მოპყრობის შემდეგ რა გასაკვირია, რომ. გარკვეული სიმპათიები გაგვიჩნდეს ასეთი მწვრთნელებისა და კლუბების მიმართ.



თამაზ ლაცაბიძე

**● ბევრჯერ დაიწერა იმის შესახებ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არბიტრთა ფულადი ანაზღაურება საგრძნობლად გაიზარდა. ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდები ხალისით ეუფლებიან ამ რთულ პროფესიას.**

— სწორი ბრძანეთ, ანაზღაურება დღესდღეობით მართლაც შესაშური გვაქვს, რაზეც ადრე ვერც ვიოცნებებდით; ახალგაზრდებიც საკმაოდ გამოჩნდნენ, რომელთაგან სულ მალე კვალიფიციურ მსაჯებს უნდა ველოდოთ. მაგრამ გვერწმუნეთ, გვირჩევნია ამის ნახევარი ანაზღაურება გვქონდეს და უვნებელი დავბრუნდეთ სახლში — ჩვენი პირველი მიზანი შეხვედრის ნორმალურად ჩატარებაა და, თუ შევცდებით, სალემად და მოსაკლავად არ უნდა გაგვიმეტონ. შარშანდელმა სეზონმა ბევრ სიკეთესთან ერთად ხარვეზებიც საკმაოდ წარმოაჩინა. გუნდების უმეტესობა ვერა და ვერ შეეჩვია შინ დამარცხებას, რაც წინა წლებში თითქმის გამორიცხულიც იყო. ეჭვი არ მეპარება, მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და ჩვენც უფრო გაგვიადვილდება მსაჯობა.

**● მოსაგონარს არბიტრებს რა გამოულევთ, ყველაზე უფრო მაინც რა დაგამახსოვრდათ?**

— 1987 წლის 9 ნოემბერს ჩვენი რესპუბლიკის მსაჯთა ბრიგადა პირველ ლიგაში გადასასვლელი ტურნირის მატჩებს ემსახურებოდა. კიშინიოვში „ნისტრუ" კრასნოდარის „კუბანს" მასპინძლობდა. მასპინძლებს სამი ბურთით მოგების შემთხვევაში გზა ეხსნებოდათ პირველ ლიგაში საასპარეზოდ. მათ გუნდს სათავეში გამოცდილი მწვრთნელი ვლადიმერ ემეცი ედგა. მატჩის მსაჯობა მე მომანდეს, მეხმარებოდნენ გურამ სეფიაშვილი და მერაბ ჭელიძე. თამაშის დაწყების წინ გასახდელში ემეცი შემოვიდა და მითხრა, თამაზ, შენ და ჩემს ვაჟიშვილს დღეს დაბადების დღე გაქვთ, თუ ყველაფერი კარგად იქნება, მინდა, რომ ეს თარიღი ერთად აღვნიშნოთო. მატჩს ემეცის მთელი ოჯახიც ესწრებოდა, ალბათ, იმის იმედით, რომ შეძლებდნენ დიდი ანგარიშით გამარჯვებას და ცხრა ნოემბერს ორმაგად იდღესასწაულებდნენ. თამაში თავიდანვე კიშინიოველთა სასიკეთოდ წარიმართა, მაგრამ... ორ ბურთზე მეტის გატანა მათ ვერ შეძლეს და მეორე წელს პირველ ლიგაში კრასნოდარის „კუბანმა" იასპარეზა. როცა შხაპს ვიღებდით, გავიგეთ, რომ ემეცს გასახდელში გული გასკდომოდა. ახლაც თავ-ბედს ვიწყევლი, რაღა მე და ჩემს მეგობრებს მოგვიხდა ასეთი უმძიმესი ტრავმის გადატანა. ხშირად ვადანაშაულებდი ჩემს თავს, მაგრამ, ეტყობა, ამ შეხვედრაში თითქმის არ შევმცდარვარ, რადგან სამივე მსაჯმა ხუთიანები დავიმსახურეთ. ყოველი კარგად წარმართული მატჩი კი, როცა ორივე გუნდის ფეხბურთელები მადლობას გიხდიან, ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. თუნდაც იმიტომ მიყვარს ეს პროფესია, რომ მსურს, მსგავსი სიხარული ხშირად განმეორდეს.

**● როგორ ხვდება რესპუბლიკის მსაჯთა კორპუსი ახალ საფეხბურთო სეზონს?**

— მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. წლევანდელ გათამაშებას თითქმის უცვლელად მოემსახურებიან ის არბიტრები, რომლებიც წინა წლებში მსაჯობდნენ. ახალი სეზონისათვის მზადება დიდი ხანია დავიწყეთ. არბიტრთა სამი ნაკადი სისტემატურად გავდიოდით წვრთნას თეორიაში და ფიზიკურ მომზადებაში, დასკვნითი ეტაპი უმაღლესი ჯგუფის არბიტრებმა დაბა განთიადში გავმართეთ. თოთხმეტი წელია, რაც ანალოგიურ შეკრებებზე მიწევს სიარული და, უნდა გითხრათ, რომ ასეთი იდეალური პირობები წვრთნისა და დასვენებისთვის ჯერ არ გვქონია. მსაჯთა განყოფილების უფროსმაც — გურამ გვანცელაძემ ყველაფერი გააკეთა, რათა წლევანდელ სეზონს მზადყოფნაში შევხვედროდით.

**ესაუბრა ზაზა კახაძე.**

# სტეფან ედბერგი — მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერი

მას შემდეგ, რაც 1989 წელს უიმბლდონი მოიგო, სტეფან ედბერგი მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ახლა იგი (თავისი კარიერის მანძილზე — მეორედ) სათავეში ჩაუდგა თანამედროვეობის უძლიერესი ოსტატების რანგლისტს, სადაც ამ დღეებში ამ პოსტზე ბორის ბეკერი შეცვალა. ყოველივე ამის მიუხედავად, შვედს ჩოგბურთის მსოფლიო ასოციაციისათვის დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუხდა, რადგან საერთაშორისო ტურნირების საჭირო რაოდენობაში მონაწილეობა არ მიუღია („დიდი მუზარადის“ ასპარეზობები ამ მხრივ ჩათვლაში არ შედის). რა თქმა უნდა, ედბერგმა გადაიხადა ეს ჯარიმა და თავი იმით იმართლა, რომ წლის განმავლობაში რამდენჯერმე იყო ავად.

1990 წლის სეზონი ედბერგმა მელბურნში დაიწყო — იანვარში ითამაშა ავსტრალიის ღია ჩემპიონატში. აქ იგი ფინალამდე მივიდა, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი ტრავმის გამო ივან ლენდლთან დათმო. მაისში „როლან გაროს“ (საფრანგეთის ღია პირველობა) ასპარეზობაზე მოულოდნელად პირველ წრეშივე დამარცხდა უცნობ ესპანელ ბრუგუერასთან. სამაგიეროდ, ივლისში ბრწყინვალე სტილით მოიგო უიმბლდონი —წლის ყველაზე უფრო ავტორიტეტული შეჯიბრება. სწორედ ამის გამო იყო, რომ მსოფლიოს უძლიერესი ოსტატების რანგ-ლისტში აგვისტოში პირველ ადგილზე გადავიდა. ნოემბერში აღიარებული იქნა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონად, მას შემდეგ რაც მოიგო „მასტერსი“.

ახლა კი რამდენიმე ნაწყვეტი ედბერგის ინტერვიუდან, რომელიც პრაღის გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტში“ გამოქვეყნდა.

„ცამეტი რიცხვი, ბევრ სპორტსმენს ჭირივით რომ ეჯავრება, ედბერგისათვის, პირიქით, ბედნიერი გამოდგა. სწორედ 13 აგვისტოს გამოაცხადეს იგი მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელად.

— ახლა ჩემი მდგომარეობა გარკვეულია, ისევე შეუპოვრად ვიშრომებ, როგორც აქამდე, სანამ შემეძლება მსოფლიოს № 1 ჩოგანის პოზიციას შევინარჩუნებ. ეს, ცხადია, ჩემთვის დიდი პატივია. მართალია, კარგა ხანია, მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა პირველ ხუთეულში შევდიოდი, მაგრამ ამ ხუთეულში, როგორც ითვლებოდა, ყველაზე ნაკლები სახელი მე მქონდა.



სტეფან ედბერგი

● **გასულ წელს განცდილ მარცხთაგან თქვენთვის ყველაზე უფრო მწარე იყო აშშ-ს ღია ჩემპიონატზე ვოლკოვთან დამარცხება, თუმცა საფრანგეთის ღია ჩემპიონატშიც პირველივე ტურში გამოეთიშეთ შეჯიბრებას.**

— მე ამ მარცხს კი არ ვაქცევ ყურადღებას, არამედ იმას, რომ შეველი ოთხ ძლიერ ტურნირში გამარჯვება, სადაც ყველაფერი მშვენივრად გამომივიდა.

● **მაინც როგორ დაიმშვიდეთ თავი „ფლეშინგ მედოუში“ (აშშ-ს ღია ჩემპიონატი) განცდილი სრულიად მოულოდნელი მარცხის შემდეგ?**

— გოლფს ვთამაშობდი, დავრბოდი. ინგლისში გავემგზავრე (ედბერგი მუდმივად ლონდონში ცხოვრობს), შვეციაშიც ვიყავი ნათესავების სანახავად. გარდა ამისა, გარკვეული დრო გავატარე ჩემს მეგობარ ანეტასა და მის ოჯახთან. ამან დამავიწყა მარცხი.

● **თქვენ უკვე ორჯერ გაიმარჯვეთ უიმბლდონში, ხომ არ შეადარებდით ამ წარმატებებს ერთმანეთს?**

— როცა პირველად გავიმარჯვე, ეს შეიძლება ზოგიერთს, ცოტა არ იყოს, შემთხვევითად მოეჩვენა, მართლაც როგორია ამის გაკეთება, როცა ასპარეზობაში ამდენი გამოჩენილი ჩოგბურთელი მონაწილეობს. მე კი ეს მეორეჯერაც მოვახერხე ასეთ უძლიერეს შემადგენლობაში. ფინალურ მატჩში მეხუთე სეტშიც კი უკან ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც მოვიგე 6:4. ეს უფრო ფანტასტიკას ჰგავდა.

● **საჭიროა თუ არა თქვენთვის კაცი, რომელიც სისტემატურად გვერდში გედგებათ და საჭიროების შემთხვევაში „გიბიძგებთ“?**

— მე ბავშვობიდანვე დისციპლინირებული ვიყავი. ზარმაცი რომ ვყოფილიყავი, ვერასოდეს მივაღწევდი იმას, რასაც მივაღწიე. შევიმუშავე გეგმა, სად და რა უნდა ვაკეთო. ამაში მე ჩემი მწვრთნელი ტომ პიკარდიც დამეხმარა. მე ძალიან კარგად ვარ მომზადებული ფიზიკურად, რასაც დღევანდელ ჩოგბურთში დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოამზადა **გიგი თორელმა.**

## გურამ ჭილაია



გურამ ჭილაია იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის საქმეს მოახმარეს და ვალმოხდილნი წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

ყმაწვილობიდან სპორტის სიკეთეს ნაზიარებმა უმაღლესი ფიზკულტურული განათლება მიიღო და მშობლიურ რაიონში დაიწყო მუშაობა. 1964-87 წლებში იყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მარტვილის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ „შევარდენის“ რაისაბჭოს ედგა სათავეში. 1989 წლის ივლისიდან სიცოცხლის ბოლომდე კი რაიონის საფეხბურთო კლუბ „მარტვილის“ პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობდა. იყო საქართველოს სპორტის ოსტატი ლელოში ბურთში.

გულისხმიერი მუშაკისა და შესანიშნავი ადამიანის კეთილი სახელი მუდამ დარჩება მათ ხსოვნაში, ვინც ამ უაღრესად სათნო პიროვნებას ახლოს იცნობდა.

**სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო**

# გარი კასპაროვი თუ ვასილ ივანჩუკი?

**ლინარესი** (ესპანეთი). მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაიმართა მეთორმეტე, ბოლოსწინა ტური.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვის შეხვედრამ იუგოსლაველ ლიუბომირ ლიუბოევიჩთან, რომელიც ჩემპიონმა მოიგო. ვასილი ივანჩუკმა დაამარცხა ბორის გელფანდი. ყაიმით დამთავრდა გურევიჩ-კარპოვის, ანანდ-სპილმენის, იუსუპოვ-ტიმანისა და ელვესტ-სალოვის ორთაბრძოლები. ვერ დაამთავრეს პარტია ბელიავსკიმ და კამსკიმ, მაგრამ ამ უკანასკნელს, როგორც სპეციალისტები ამბობენ, აშკარად წასაგები პოზიცია აქვს.

ბოლო ტურის წინ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: გარი კასპაროვი — 8,5 ქულა, ვასილი ივანჩუკი — 8 (1 გადადებული პარტია), ალექსანდრე ბელიავსკი — 7 (1), არტურ იუსუპოვი, ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 7-7, იან ტიმანი (ჰოლანდია), ვიშვანატან ანანდი (ინდოეთი), ვალერი სალოვი — 6-6, ბორის გელფანდი, ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 5,5-5,5, მიხეილ გურევიჩი — 5 (1), ანატოლი კარპოვი — 4,5 (1), იან ელვესტი — 3,5 და გატა კამსკი (აშშ) — 1,5 (2).

რა შეიძლება მოხდეს გადადებულ პარტიებში? ცხადია, საერთო ყურადღებას იქცევს ივანჩუკ-გურევიჩის დაუმთავრებელი ბრძოლა, რომელშიც, სპეციალისტთა აზრით, უპირატესობა ივანჩუკის მხარესაა. და, თუ მან მოიგო ეს პარტია, ბოლო, მეცამეტე ტურის წინ ივანჩუკი ნახევარი ქულით გაუსწრებს მსოფლიო ჩემპიონს.

დასკვნით ტურში კასპაროვი შეხვდება იუსუპოვს, ივანჩუკი — ტიმანს.

„სპორტპროგნოზი“, მე-12 ტირაჟის პროგრამა (23–24 მარტი)

სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)

| | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (მოსკოვი) | 23.III | 20 | 70 | 10 | 2 |
| 2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 23.III | 60 | 30 | 10 | X |
| 3. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — ცსკა | 23.III | 10 | 40 | 50 | 2 |
| 4. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „არარატი“ (ერევანი) | 23.III | 40 | 50 | 10 | 1 |
| 5. „შახტიორი“ (დონეცკი) — „პახთაქორი“ (ტაშკენტი) | 23.III | 40 | 50 | 10 | X |
| 6. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე) | 24.III | 80 | 10 | 10 | X |
| 7. „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) | 24.III | 20 | 60 | 20 | X |
| 8. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) | 24.III | 40 | 50 | 10 | 1 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 9. „რომა“ (რომი) — „იუვენტუსი“ (ტურინი) | 24.III | 10 | 80 | 10 | 1 |
| 10. „ინტერი“ (მილანი) — „მილანი“ (მილანი) | 24.III | 10 | 70 | 20 | X |
| 11. „სამპდორია“ (გენუა) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი) | 24.III | 60 | 30 | 10 | X |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 12. „სპორტინგ ხიხონი“ (ხიხონი) — „ბარსელონა“ (ბარსელონა) | 24.III | 10 | 50 | 40 | X |
| 13. „რეალი“ (მადრიდი) — „ოვიედო“ (ოვიედო) | 24.III | 60 | 30 | 10 | 2 |

შენიშვნა: მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ცსკა-ს მატჩის გამართვა ნავარაუდებია ქ. სოჭაში.

# ჯუზეპე ჯანინი ოპტიმისტია

იტალიის საფეხბურთო კლუბ „რომას“ კაპიტანი ჯუზეპე ჯანინი არ ეთანხმება იმ მიმომხილველებს, რომლებიც თვლიან, რომ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა — იტალიის ნაკრებმა, შეიძლება ვერ ითამაშოს ევროპის 1992 წლის პირველობის ფინალურ ეტაპზე. აი, მისი საუბარი იტალიელ ჟურნალისტებთან.

● **რით ახსნით იმ კრიზისულ სიტუაციას, რომელშიც იტალიის ნაკრები აღმოჩნდა?**

— უპირველეს ყოვლისა, ვერავითარ კრიზისულ სიტუაციას ვერ ვხედავ. ისინი, ვინც ნეგატიურად აფასებენ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა უნგრელებთან და საბჭოთა ფეხბურთელებთან მატჩების ფრედ დამთავრების შემდეგ, უბრალოდ, ვერ ერკვევიან იმაში, რა ხდება ნაკრებში. ჩემი აზრით, ჩვენ აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ ამ ჯგუფში.

● **თქვენ საბჭოთა ნაკრებთან პირველ შეხვედრაში არ გითამაშიათ...**

— დაშავებული ვიყავი. ისე კი, მიგიხვდით — თქვენ გულისხმობთ ჩემს რთულ ურთიერთობას ნაკრების მწვრთნელ აძელიო ვიჩინისთან. დიახ, ჩვენი შეხედულებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს.

● **რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე მთავარი მეტოქის თამაშმა?**

— რუსებს ბევრი დებიუტანტი ჰყავთ, მაგრამ მათი ნაკრები საკმაოდ ძლიერია. ამის მიუხედავად, მე მაინც ვთვლი, რომ მათ არ შეუძლიათ ევროპის პირველობის ფინალისაკენ მიმავალი გზა გადაგვიღობონ.

● **უნგრელები?**

— მათ შეუძლიათ ერთი შეხვედრა ძალზე ძლიერად ჩაატარონ, მაგრამ მთელი ტურნირის თანაბრად წარმართვისათვის ძალები აშკარად არ ეყოფათ.

● **რას იტყვით ვიჩინისა და სკოლაჩის ურთიერთობის შესახებ?**

— თამაშის წინა პერიოდში ვიჩინი არასოდეს აცხადებს გუნდის შემადგენლობას. ამაზე მხოლოდ მატჩის წინა ღამეს მსჯელობს. მას შემდეგ, რაც სკილაჩიმ საბჭოთა გუნდთან ძალიან სუსტად ითამაშა, ვიჩინი გაბრაზდა და გამოაცხადა, რომ სკილაჩი ნაკრებს თვალით ვეღარ ნახავდა. რა თქმა უნდა, ვიჩინი შემდეგ მოლბა — ტოტო (სკილაჩი) ხომ იტალიის ჩემპიონატის მატჩებს კარგად ატარებს. ახალი მოთამაშეებიდან, ვფიქრობ, მწვრთნელი გზას გაუხსნის კაზირაგის — პერსპექტიულ თავდამსხმელს. ეს, გაითვალისწინეთ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი აზრი გახლავთ.

● **ვიჩინის აზრით, თქვენ საკუთარ შესაძლებლობებზე, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული წარმოდგენა გაქვთ.**

— ეს გაზვიადებული წარმოდგენა კი არა, საკუთარი ძალების რწმენაა.

მოამზადა **გიგი თხინვალელმა.**

## ან ფრედ, ან მინიმალური სხვაობით

კრიზისი ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდისა, რომელიც ვერაფრით ვერ ახერხებს ძველებურად თამაშს ვერც თავდასხმაში და ვერც დაცვაში, გარკვეულწილად ეროვნულ ჩემპიონატშიც ირეკლება. ასე მაგალითად, მეშვიდე ტურის თითქმის ყველა მატჩი ან ფრედ (1:1) დამთავრდა, ან მინიმალური სხვაობით (1:0).

გათამაშებას ლიდერობს „ფლუმინენსე“, რომელმაც დაამარცხა „ნაუტიკო“ „ტრადიციული ანგარიშით“ (1:0). ლიდერს 10 ქულა აქვს. მორიგი მარცხი იწვნია პელეს ყოფილმა კლუბმა „სანტოსმა“ ამჯერად „ფლამენგოსგან“ — 0:1. ლეგენდარული პელეს კლუბს 7 ტურის შემდეგ (5 ქულით) მეთექვსმეტე ადგილი უკავია.

## 12 მილიონი და კიდევ... 600 ათასი

იტალიის საფეხბურთო კლუბის „ლაციოს“ ხელმძღვანელებმა დაადასტურეს ხმები, რომ მზად არიან 12 მილიონი დოლარი გადაუხადონ ინგლისის „ტოტენჰემს“ ნახევარმცველ პოლ გესკოინში. თუ ფეხბურთელი დათანხმდა „ლაციოს“ წინადადებას და ხელი მოაწერა ოთხწლიან კონტრაქტს, იგი გასამრჯელოდ წელიწადში 600 ათას დოლარს მიიღებს.

• • •

● **კიევში** ამ დღეებში გაიმართა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია. ფედერაციის ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს წარსულში ცნობილი მეკარე ვიქტორ ბანიკოვი.

**რედაქტორი**

**თენგიზ ზაჩეჩილაძე**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, სიმარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20